

სამეურნეო ჟურნალი

მოსაპალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად 10 კაპ. || ადრესი: Тифлиς, Варятинская, № 5.

წელიწადი მიმოი

1910 წელიწადი.—1 მარტი.—№ 5.

შინაარსი

გ. რცხილაძე	მცენარენი და ცხოველნი	3
ი იოსელიანი	დემინსკისა და ტენ. ლევიცკის ქადაგება	5
ვ. გულბათიშვილი	თესლის შეჩვენება	7
ს. ხუნდაძე	ვაზის გასხვება	7
ზ. ედილაშვილი	თხილის მოყვანა საინგილოში	10
აღ. მაჩაბელი	დასარიკებლად გამოგზავნილი თესლი	13

საყურადღებო ცნობები:

ვაზის შესაყელი რაფი და იმისი გამოქვება	14
სადოღე დორის აჩვენება	—
როგორ უნდა მიეცეს ბებერ ცხენს ქერი ან შვრია	—
ხენილების შესხურება კირის რძით	—
როგორ უნდა გაიწმინდოს დაყანგებულ გუთნის ბარ-საკვეთი	15
როგორ უნდა დავამზადოთ კედელზე წასასმელი გასათეთრებლად კირი რძე მადე ან ჩამოთრეტოს	—
ხეზე სახმარი ფისი	—
შაბამანი ნესტისაგან დაბებულ კედლების გასაწმენდად	16

განცხადებანი 16



სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასრულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შარებისა: —
პ. ავერკინისა, ა. აფხაზისა, აგრიკოლასი, ვ. ახაშვილისა, ვ. ახაძისი ლ. გოგნიევისა, ვ. გულბათიშვილისა, დ. გორთაშაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელიჩესი, ფ. ედილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამაშვილისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძისი, დ. შიგინისა, ს. მგალობლიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. მჭედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუციშვილისა, გ. ნ., ი. პაატაშვილისა, ვ. რცხილაძისი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნაშვილისა, ვ. შ—ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძისი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორჯაძისი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირისპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან: გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., დამბაშიძე ვ., აღლიძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საუბრადგოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურთავდებით თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შესწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (გენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**. წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწეროებს **სახუქრად დაგზავნებათ რჩეული თეს-ლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწეროებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлиς, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».
რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. რცხილაძე

ამ ნომერთან ხელისმომწერლებს ეგზავნებათ სხვადასხვა ბოსტნე-

ულობის თესლეულობა „მაუტენრისა“ და ადგილობრივი.

მცენარენი და ცხოველნი

ცხოველებისა და მცენარეების მართებრივად მართვის კვება

მაშ, როგორც ზემოთა ვსთქვით *), ცხოველების მთელი სამეფო მცენარეებით იკვებება. მომეტებული ნაწილი ამ მცენარეებისა, ისინიც კი რომელნიც ბევრი ცხოველებისათვის საწამლაგ ნივთიერებებს ამზადებენ, ცხოველების საკვებად წარმოადგენენ.

ამ საზრდოობაში ცხოველები ზოგ მცენარეებს პირდაპირ უმსა სკამენ ჯერ ისევ ნედლსა და ნორჩს; ზოგ მათგანზე ცხოველები როგორც პარაზიტები სცხოვრობენ და იკვებებიან; ზოგნიც მაშინ გარდაიქმნებიან ცხოველების საკვებად, როცა ღვებებიან და იხრწნებიან.

სხვადასხვა სახით საზრდოობამ სხვადასხვა საქმლის მისაღები და მოსახარში ორგანოები განუვითარა ცხოველებს. მცენარეებს კიდევ ცხოველების საწინააღმდეგოდ სხვადასხვა საშუალებები მიეცათ განადგურებისაგან დასაფარავად — დაეზარდათ მაგარი კანი, ქერქი, ნაჭუჭი, კურკა; მიეცათ ჩხვლეტია ფოთლები, ეკლები; ამზადებენ სხვადასხვა უგემურს, მწარეს, საწამლაგ წვენებს; აქვთ მძიმე აუტანელი სუნი და სხვა.

ზოგი მცენარენი, რომელთაც ცხოველები არ ეკარებიან (ანწლი, იელი და სხვა), სარგებლობენ ამგვარი მიუ-

კარებლობით და თავისუფლად იზრდებიან იქ, სადაც ცხოველები ხშირად ხვდებიან და ყველა სხვა მცენარეებს ანადგურებენ. ამ ადგილებში ნიადაგის მთელი სინოყივრე მარტო პირველებსა რჩებათ და არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულნიც ისინი არიან.


იგივე ითქმის მცენარეებზე, რომელნიც ცხოველებით იკვებებიან.

ზოგი მცენარეები იჭერენ ცხოველებს და სკამენ მათ; ზოგნი ცხოველების სხეულებზე ან სხეულში სცხოვრობენ მთელი თავიანთი სიცოცხლე როგორც პარაზიტები; ზოგნიც ცხოველების გახრწნილი გვამის შემადგენელი ნივთიერებებით იკვებებიან.

ცხოველების შემპყრობი და მკამელი მცენარეები ანუ ეგრედწოდებული **ხორცი-ჭამია** მცენარეები 500 სხვადასხვა ჯიშისანი არიან. ერთი საერთო თვისება მათი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა საშუალებებით ეს მცენარეები შეიმწყვდევენ ხოლომე წვრილ ცხოველებს, უფრო მწერებს, და ჰყავთ დამწყვდეული სანამ დაიხოცებიან. მომკვდარი მწერი ღვება, იხრწნება და შემადგენელი მისი ნაწილები იხარშება მცენარისაგან გამონაჟვენ წვენში და ხმარდება მცენარეს როგორადაც საკვებავი.

წარმოიდგინეთ ძაბრის მაგვარი პირგანიერი ორმო მცენარის ფოთლებისაგან გაკეთებული, რომელსაც ზევით პირზე შიგნიდან შემოყოლებული აქვს

*.) იხ. „მოსავალი“, № 2, 1910 წ.



ჩაშვერილი ძირს წვეტიანი ეკლები. ამ სიღრმეში მცენარეს დაუმზადებია მწერისათვის ჩასატყუებელი სიტყბო, მაგრამ ვაი იმ მწერს, რომელიც მოტყუვდება და შიგ ჩავა. წვეტიანი ეკლები აღარ ამოუშვებენ მალლა და შიგ ჩამწყვდეული მწერი მოკვდება. ზოგ მცენარეებს ცხოველების ჩასამწყვდევი ორმო ამოფარებული აქვთ სახურავით, რომელიც ქვემოთ იხდება. დაჯდება თუ არა პატარა რამ ცხოველი (მაგალითად პატარა კიბო) ამ სახურავზე, უკანასკნელი აიხდება და მსხვერპლი ვარდება ორმოში, სახურავი ამოიხურება და ჰკეტავს ამოსავალს. როცა ცხოველი ორმოში მოკვდება, სხეული მისი დაღებება-დაიშლება, მცენარე აქედან წარმომდგარ ნივთიერებებს თავისი საწოვრებით შეითვისებს. საკვირველია რომ ზოგი მწერი ამ ორმოებში განგებ ჩადიან საცხოვრებლად და იკვებებიან შიგ ჩახოცილი ცხოველების გვამებით.

ზოგ მცენარეებს წებოიანი ფოთლები აქვთ და ზედ ამ ფოთლებზე პატარა პატარა საწოწნავეები, რომლებიდანაც გამოდის ერთგვარი წვენი. როცა ამგვარ ფოთოლზე დაჯდება და მაშასადამე მიეკვრება კიდევაც რომელიმე მწერი, საწოწნავეებიდან გამონადენი წვენი ბლომად გროვდება ფოთოლზე მიკრული მწერის გარშემო და კუჭის წვენივითა ჰხარშავს ამ მწერს. შემდეგ საწოწნავეებს დაეხრებათ თავები ნანადირევისაკენ და ამ მოხარშულ-მომზადებულ საკმელს შეექცევიან. იგივე მოხდება რომ მწერის მაგივრად პატარა ხორცის ნაჭერი ან სხვა რომელიმე ცილანარევი საკმელი მიეკრას ხსენებულ ფოთოლს. სრულიად სხვას წარ-

მოდგენენ ეგრედწოდებულ ბუზიჭამიას ფოთლები (*Dionaea muscipula*) — მცენარე, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკაში იზრდება. პატარა საწოწნავეები ბუზიჭამიას ფოთლებს ზემოთა ზედაპირზე ასხედან და თუ რამე მიეკარა ამ საწოწნავეებს ფოთოლი მაშინვე გრძნობს და სწრაფლ შეიკეცება ხოლმე ისე როგორც ერთი ხელისგული მეორეს დავაფაროთ. თუ რამე მწერი მოემწყვდება და ფოთოლიდან გამონაჟვენი წვენით მოიხარშება-მომზადდება და შეეთვისება მცენარეს. ფოთოლი შემდეგ ისევ გადიშლება-გასწორდება.

რაც შეეხება იმ მცენარეებს, რომელნიც ცხოველების სხეულზე ან სხეულში სცხოვრობენ როგორც პარაზიტები, მათი რიცხვი უთვალავია ბუნებაში და უმთავრესი მნიშვნელობა მათ შორის ეგრედწოდებულ ბაქტერიებს აქვთ.

ეს უთვალავი ბაქტერიები, რომელთაგან ზოგნი დიდად მავნებელნი არიან ცხოველებისათვის, ხშირად მიდამოს აუცილებელ კუთვნილებას შეადგენენ და ცხოველები იძულებულ ხდებიან ვენების ასაცილებლად ამ ბაქტერიების წინააღმდეგ რამე საშუალება შეიმუშაონ. ერთ ამგვარ საშუალებათაგანს სხვათა საშუალებათა გარდა (მაგალითად სხეულის გამაგრებელი კანის გარდა, რომელიც ამ ბაქტერიებს არ უშვებს სხეულში ჩავიდნენ) ეგრედწოდებული ფაგოციტოზი წარმოადგენს — მოვლენა, რომლის შესახებ დაწვრილებით მკითხველს შეუძლიან ჟურნალ „მოსავლის“ წარსული წლის მე 12—13 ნომრებში იხილოს სათაურით: „ორგანიზმოს თვითმკურნავი ძალა.“

დემინსკისა და გენ. ჯეგაძის ქადაგება

ახალი მარტია,
წმინდა კარგია.

მარტის გასულს სოფელი ხელახლად შეუდგება გაზაფხულის ხვნა-თესვას. საჭიროა ჩვენმა მეურნემ იცოდეს რომ ეხლანდელი ხორბლეულობა ჩამომავლობითი ნაყოფია დაშინაურებული ველური მცენარისა. დაშინაურება კი ველურ მცენარეს გაუმჯობესობასთან ერთად ასუსტებს კიდევაც, იგი ვეღარ იტანს ისეთ გოლვას, სიცხე-სიცივეს, როგორაც წინად იტანდა. ეს სისუსტე ზოგჯერ ძლიერ იჩენს თავს, მეურნეს ზოგჯერ სრულიად ხელცარიელსა სტოვებს მოსავლიდან.

სადაც მეურნეობას ნასწავლი აგრონომები ხელმძღვანელობენ, იქ ეს უკანასკნელნი ცდილობენ ისეთი ხორბლეულობა გამოძებნონ დასათესად, რომელნიც გოლვასა და სიცხე-სიცივეს ადვილად აიტანენ, ადრე შემოდიან, არც მარცვალი სცივავთ დრომდე და სხვა.

ჩვენს ხალხში კი ბევრს მსხვილი მარცვალი კარგ მოსავლიანად მიაჩნია. შემცდარი აზრია. მსხვილ-მარცვალა მცენარე მარცვალ-ნაკლებია, მარცვალი მარცვალ გამოშვებით აქვს თავთავში. გამოცდილება გვიჩვენებს რომ უფრო მეტი მოსავალი შუათანა ზომის მარცვალმა იცის.

მატე წვრილ მარცვალს, როგორსაც ჩვენებურები თესლად ხმარობენ ხშირად, კარგი მოსავლის მოცემა არ შეუძლიან არასოდეს, თესლი უღონოა.

ამ ორი-სამი წლის წინად გაერცვლდა ხმა: ვითომ საკმარისი იყოს აწ არსებული წესი ხვნა-თესვისა შეიცვალოს,

ხორბალი დავრგათ-გადავრგათ ხოლმე კვლებში ბოსტნის მოსავალსავით, რომ აუარებელი მოსავალი მივიღოთ.

რუსეთში, სადაც ხალხის კეთილყოფიერება ხორბლეულობის თესვაზე და მოკიდებული უმთავრესად, ყურადღება ძალაუწებურად მიაქციეს ამ ხმაგავარდნილ წესს და არა ერთი და ორი ორმო ამოთხარეს და ჩარგეს შიგ ხორბალი საცდელად.

სამწუხაროდ ცდამ ვერცერთგან ვერ გაამართლა მოლოდინი.

ვინც თვალს გადაავლებს სამეურნეო ჟურნალს, რომელსაც სამეურნეო საქმეთა მთავარი სამმართველო ბეჭდავს და სადაც მოყვანილია ანგარიში სად როგორ გათავდა ზემოხსენებული ცდები, ადვილად დაინახავს თუ რა გაუგებრობაზე და მეურნეობის უვიცობაზეა აშენებული ეს ახალი წესი.

„ამ წესით დათესვის შემოღება ცხოვრებაში“ — სწერს ალ. ფეოდოროვი — „ხელმოკლე მემამულესათვის შეუძლებელია არა მარტო იმისათვის რომ მიწის ასეთი დამუშავება ძვირად დაჯდება, არამედ იმიტომ რომ იმოდენა მოსავლის აღება, რამდენსაც ჰპირდება ამ ახალი წესის მიხრობელი პატარა წიგნაკი-ბროშურა, ნამდვილი ზღაპარია. თუ კი, როგორც ვიცით, 150 ფუთ კვავის ასაღებად ორი დღიური ნახნავიდან საჭიროა რომ ამ ნახნავს 250—300 ათასი ფუთი წყალი მიეცეს ატმოსფერიდან სამოსავლო ხნის განმავლობაში, მაშ 600 ფუთი ხორბლის ასაღებათ იგივე ორი დღიურიდან ნიადავს ოთხჯერ მეტი წყალი დასჭირ-

დება და ამდენი წყლის მიღება კი ატმოსფერიდან შეუძლებელია. რადგან ზაფხულის განმავლობაში არსად მთელ რუსეთში 400 მილიმეტრზე მეტი წყალი არ ეძლევა ატმოსფერიდან დედამიწას.*)

ეს ახალი წესი უცდია აგრეთვე ქვიევის პროფესორს სლევჩინს და ამბობს, რომ გადარგვამ ხორბლის მცენარეს ძალიან არგო, დერო მსხვილი და ღონიერი ამოიტანა, მაგრამ მერე მშრალი ამინდის გამო მეტი წილი გადარგული მცენარისა, თუმცა ირწყვებოდა, დაჰქნა და გაფუჭდა. აქედან ის უნდა დავსკვნათო—ამბობს პროფესორი—რომ პურის გადარგვა მხოლოდ იმ ადგილებში შეიძლება, სადაც შემოდგომა თბილი და ნამიანია. ნამიან ადგილებში თუ ცივა გადარგვა შეიძლება, მაგრამ მცენარეს ვეგეტაცია გაუგრძელდება და პურს შემოსვლა დაუგვიანდება. ჩემს ცდაში გადარგვამ პურის შემოსვლა სამი კვირით დააგვიანაო“.

არ გაუმართლებია იმედი ამ ახალ წესს არც პოლტავის საცდელ მიწოდროზე, არც შატლოვის საცდელ სტანციაში, არც მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში და არც ბევრგან სხვაგან.

მრავალი სამწუხარო შედეგი იყო მოხსენებული აგრედვე სიმბირის მეურნეების კრებაზე, რომელსაც თვით მოძღვარი ამ ახალი წესისა ბ-ნი დემინსკი დაესწრო. კრებაზე მოხსენებულმა ფაქტებმა იძულებულ ჰყვეს ბ-ნი დემინსკი ელვიარებინა რომ ახალი წესით დათესვა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს არ შეეფერება.

ერთი მაგალითიც. ეკატერინოსლავის გუბერნიაში კამენის საუფლისწულო მამულში მოხდენილი ცდის შესახებ აგრონომი სტრელცოვი სწერს: „გადარგულმა პურმა ორჯელ ნაკლებ იბარტყა და ჭვავმა ერთნახევარჯერ ნაკლებ, ვიდრე გადურგავენბაო; სიმსხოსიმძიმე გადარგულებს უფრო ნაკლები ჰქონდათ; გადარგულებიდან 130/0 სრულებით გაფუჭდა. თუმცა ამ უკანასკნელ 16 წლის განმავლობაში არც ერთი წელიწადი არ ყოფილა ისეთი ნამიანი, როგორც 1908 წელი იყო, მაგრამ მაინც ასეთი სუსტი მცენარეებიდან, როგორც ეს გადარგულები არიან, შეუძლებელია ისეთ მოსავალს მოველოდდეთ, როგორსაც გვპირდებიანო“.

ამ გვარად, რა შედეგი მოეღის ამ ახალ წესით დათესვას, ამას მოყვანილი ფაქტებიდანაც ყველა აშკარად დაინახავს და აიით გაეთავებდი კიდევაც ჩემს ბაასს, მაგრამ არ შემიძლიან ყურადღება არ მივაქციო და არ ვაუზიარო მკითხველს, რასაც ჟურნალი სწერს სახელგანთქმულ გენერალ ლევიცკის შესახებ, რომელიც ცდილობდა დამტკიცებინა რომ ერთ მარცვალ ხორბალს შეიძლება ორ ფუთამდე ხორბალი მოვაყვანოთ, ერთ დღიურზე ათას ფუთზე მეტი პურის მოსავალი მივიღოთ.

„ხოლო როგორადაც უცნაური რამ შეიძლება აღვნიშნოთ გენერალი ლევიცკის თეორიაც, რომლის თანახმად თითო მარცვლიდან მითომ 2—3 ფუთი ხორბლის მიღება შეიძლებოდეს. რამდენად მართლა შესაძლებელია ესეთი მოსავალი, ამის გამოსაშკარავებლად საკმარისია შემდეგი ვსთქვათ: გამოკ-

*) იხილეთ Жур. Сельс. Хоз. и Лѣсов. Г. У. 3. и 3., № 3—8. Мартъ и Августъ.



ვლევულია რომ ხორბლის ნივთიერების შესადგენად ერთ ხმელ ნაწილზედ სამასი ნაწილი წყალია საჭირო. მა შესადამე ლევიცკისებურ მოსავალს დასჭირდება 13 საუ. წყალი, ე. ი. იმდენი, რამდენსაც

ატმოსფერა მხოლოდ ორმოცი წლის განმავლობაში მოიცემა, ისიც თუ ამ ხნის განმავლობაში აღარცარა უკან აიორთქლებს და არც დედამიწის გაყენთაზე დაიხარჯება. ე. იოსელიანი

თესლის შერჩევა

კარგს დასთეს — კარგი ამოვა, ავი — მტერს გაახარებსო.

აიღეთ ჩვენ სოფლებში გამზადებული ჩვეულებრივად სათესლე ხორბალი, გადაწონეთ ერთი გირვანქა, დაყარეთ ტაბაკზედ და გულდასმით გადათვალეთ კარგი მაძლარი ხობალი ცალკე, მჩატე და უფარგისი ან უბრალო ბალახ-ბუღალახის თესლი, რომელიც ვრიოს, კიდევ ცალკე. გაოცდებით რამდენი რამ ურევია ამ თესლს. როდღა გაგიკვირდებათ რათ მოსცდება ხოლმე ხშირად ჩვენ მინდვრებზე ხორბლის მოსავალი, რად მოსდევს ყანას იმდენი შამბი და ყველანაირი ვაი-ვაგლახი. მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ იმ დიდ და უპატივებელ დანაშაულობას, რომელიც მიუძღვის მთესველს თავისი შრომისა და თავის ცოლშვილის წინააღმდეგ, როცა ამ გაღურჩვეულ თესლს გაშინჯავთ.

თესლის გადასარჩევად - გასაწმენდად მრავალი სხვადასხვანაირი იარაღებია გამოგონილი უბრალო სანიავებელიდან დაწყობილი. ვისაც სურს რომ მოსავალმა არ უმტყუნოს, მან უპირველესად ყოვლისა უნდა თესლი დათესოს კარგი. თორემ შამბი სთესო და პურს მოელოდე, ეს სადაური მოლოდინია!

დრო თესლის გასამზადებლად მუდამ საკმარისია. ერთი მოსავლის ჩაკლებიდან მეორე მოსავლის დათესამდე, მად-

ლობა ღმერთს, მთელი შემოდგომა და ზამთარი დევს. ამოდენა ხნის განმავლობაში თესლის გაწმენდაც, გადარჩევაც, გამოცდაც*) ყოველთვის შეუძლიან კაცს მოასწროს. არც მით რამე დაშვდება, რომ ადრე გამზადდება სათესლე პური, ქერი, ფეტვი, ქვავი, სელი, შვრია. მხოლოდ სიმინდი თხოულობს თავის შესაფერ სხვა ზრუნვას. სიმინდის მარცვალი ხარბად იზიდავს ჰაერიდან ნესტს და ამიტომ მალე ფუჭდება დამარცვლული თუ დაუფუჭავი შევინახეთ. აი რისთვის არ შეიძლება სათესლე სიმინდის წინად ადრე დაცეხვა. ბევრ ნესტს იღებს დათესამდე და ფუჭდება. ამიტომ ინახვენ სიმინდს სასიმინდეში დაუცეხავს და მხოლოდ დათესვის წინა დღით სცეხვავენ. ტაროზე სიმინდის მარცვალი ძრიელ დიდი ხანი ინახება და არცა ფუჭდება.

სათესლე სიმინდი უნდა კარგა იყოს შემოსული, სიმწიფისაგან ტაროს ცოტა სიწითლე უნდა დაკრავდეს, გადატეხილ ტაროს უნდა შუთავულში წითელი ზოლი ეტყობოდეს ირგვლივ შემოვლებული. თუ ჩეჩქის გულს მკრთალი მწვანე ფერი აქვს ან მუქია, ამისთანა ტაროს მარცვალი არ ივარგებს. სათესლე სიმინდის ტარო შენახვის დროსვე კარგა უნდა გადირჩეს. სიმინდმაც და ყველა ხორბლეულებმაც გადაგვარება იციან. ამ გადაგვარებაში

*) იხ. 1909 წლ. „მოსავალი“, №2, 9.

ხორბალს უფრო ხშირად ღირსება ეკარგება და არ ემატება. ამიტომ თესლი დროგამოშვებით უნდა განახლდეს. თესლის განახლება არ მოითხოვს არც შორს წასვლას და არც დიდ ხარჯს, ოღონდ სურვილი იყოს.

ისეთი სათესლე პური, მაგალითად, როგორც დურნუკის ან და პატარძეუ-

ლის დოლის პურია, ვსთქვათ, სრულიად საკმარისია ამ საჭიროებისათვის. ერთი-ორი კოდი რომ შეიძინოს კაცმა, ორისამი წლის შემდეგ არამც თუ თითონ ექნება საკმაო თესლი, სხვაზედაც კი შეეძლება რაოდენიმე გაყიდოს. „გული გულობდეს, თორემ ქადა ორი ხელით იჭმებაო“.

ვ. გულბაათიშვილი

ვაზის გასველა

ორი წლის ვაზს დაბალი ტანი აქვს და ორი რქა. ახალშენი ვაზი უმჯობესია გაზაფხულზე გაისხლას. სანამ გასხვლას შევეუდგებით საჭიროა ვიცოდეთ როგორი ფორმისა გვსურს დედა-ვაზები გავზარდოთ ან რა სიმაღლე უნდა ქონდეს მათ ტანს, რომ იმის მიხედვით დავიწყოთ თავიდანვე სხვლა.

ადგილობრივი პირობების მიხედვით ვაზს შეიძლება ტანი დაბალი, საშუალო ან მაღალი ჰქონდეს. დაბალია ვაზი მაშინ, როცა 3—8 გოჯის სიმაღლე აქვს; საშუალო, როცა ერთ არშინამდეა და მაღალი—არშინ ნახევარი ან 2 არშინი.

ვაზს დაბლა აყენებენ მშრალსა და ცივს ან თბილს ადგილებში; საშუალო და მაღალ ტანს კი აძლევენ ნოტიო ადგილებში, როგორც მაგ. ქვემო იმერეთი, გურია, სენაკის მაზრა. აღმოსავლეთ საქართველოში ვაზს უმჯობესია დაბალი ტანი მიეცეს, რადგან ყურძენი მიწის სიახლოვეს კარგადაც მწიფდება და ადრეც. ნოტიო ადგილში კი თუ ყურძენი მიწასთან ახლოა ადვილად ლპება.

იმის მიხედვით თუ რამოდენა სიმაღლის ვაზი გვინდა მივიღოთ ავარჩევთ ვაზზე ერთ ღონიერ რქას და $\frac{1}{2}$ — 1 — $1\frac{1}{2}$ — 2 არშინის სიმაღლეზე გა-

დავჭრით. დანარჩენ რქებს სულ შევაჭრით. შერჩენილ რქაზე ავარჩევთ ორ საღ კვირტს, დანარჩენ კვირტებს ფრთხილად შევაცლით და რქას ჭიგოზე მივაკრავთ.

ამ ორი კვირტიდან ორ ღონიერ რქას გავზრდით, რომელნიც შემდეგში საფუძვლად დავედებთან ყველანაირ ფორმით გასხვლას.

კახური ფორმა. ძველის ძველი, ისტორიული ფორმა მსოფლიო მევენახეობაში ჩვენი სამშობლო—კახური ფორმაა.

ამ ფორმას აქვს ტანი, ტანზედ ერთი დედა-ტოტი (ორწლოვანი რქა) და ამ უკანასკნელზედ: ნეკი 2—3 კვირტზედ გასხლოული და სანაყოფე ანუ საკავებელი 8—12—15 კვირტზედ გადაჭრილი. რაკი ადრევე გადავწყვეტავთ, რომ ვაზებს კახური ფორმა უნდა მივცეთ, ახალშენში მესამე წელიწადს საქმე გათავებულობა—ორი რქა გვაქვს: ერთს—ქვევითას ნეკათ ანუ სამამულეთ დავტოვებთ და მეორეს კი საკავებლათ გავსხლავთ. ნეკზედ გავზრდით ორ რქას—ფორმის საფუძველს და საკავებლიდან კი ნაყოფს მივიღებთ. შემდეგ გასხვლის დროს ასე მოვიქცევით: დასაკავებლად ყოფილს თავისი რქებით მოვაშორებთ, ნეკზედ

გაზრდილი ორი რქიდან—კიდე ისევ ფორმას გამოვიყვანთ: ერთს ნეკათ გავსხლავთ, მეორეს საკავებლად. თუ შარშანდელ ნექს მარტო ერთი რქა გაუზრდია, ამ შემთხვევაში ეს ერთი რქა ნეკად უნდა დავტოვოთ და სანაყოფე შარშანდელ საკავებელზე გაზრდილი რქებიდან ავარჩიოთ. ფორმა ამ წელს დაირღვევა, მაგრამ მომავალ წელს ისევ გასწორდება.

კახურ ფორმას თითქმის ყოველწლივ ერთნაირი გასხვლა სჭირდება.

გასხლულ ვაზის ტანს ჭიგოზე მივაკრავთ და საკავებელს მოვზრით ისე რომ განიერი რკალი მივიღოთ—სიმაღლე ნაკლები ქონდეს და სიგანე მეტი, რადგან ამ შემთხვევაში ყველა კვირტები გაიღვიძებენ და ყლორტებიც თანაბრად გაიზრდებიან.

დაკავება ყინვების დროს არ ვარგა—ბევრი რქა იმტვრევა ვინახში. უმჯობესია ვაზი ატირების შემდეგ დაკავდეს.

ზოგან კახური ფორმა უნეკოდ არის გასხლული. ამ შემთხვევაში სანაყოფე რქას ზევიდან ქვევით დააკავებენ. მუხლს, რომელშიაც გადახრიან ვაზს, ორ წლოვან რქასთან ახლო ამოარჩევენ, რადგან ამ მუხლზე მჯდომი კვირტი ამგვარად მეტ საზრდოს მიიღებს, ღონიერი გაიზრდება და მომავალ წელს ეს ღონიერი რქა სანაყოფეთ დარჩება. ხოლო ასეთი გასხვლით ვაზის ტანი წლითი-წლობით მაღლა იწევს, მიწას შორდება და რქები თანაბრად ვერ იზრდებიან, ამიტომ უმჯობესია რომ კახურ ფორმას ნეკი ყოველწლივ თან დავატანოთ.

სხვადასხვა მიზეზის გამო 10—15 წლის შემდეგ დედა ვაზის ტანი მაინც შესამჩნევად აიწევს მაღლა. მევენახემ

ეს გარემოება მუდამ მხედველობაში უნდა იქონიოს და დაბლა ძველ ტანზე სავარაუდო ნეკი დაანარჩუნოს ხოლმე. როცა-კი ვიტყვი რომ ვაზი მაღლაა წასული,—გაუჭივრებლივ დავწევთ მას ამ დაბლითა ნეკზე. კახურ ფორმაში ვაზს მხოლოდ 1—2 კრილობა ეძლევა. კრილობა ვაზს, მით უმეტეს თუ ცოტა განიერიც არის ეს კრილობა, ადვილად არ უხორცდება, იმ ალაგას ვაზის ცილა-მერქანი ხმება, ხან ეს ვაზობა ძირებამდისაც ჩაატანს ხოლმე. თუ როდისმე ძველი დაკოჟოჟებული კრილობა ვაზისა გაგიპიათ შუაზე,—ამას ადვილად შეამჩნევდით—ცოცხალი კანი მხოლოდ გარეშემოღა აკრავს ვაზს.

ამ გარემოებას ყველა მევენახემ უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციოს და ვაზი ისე გასხლას, რომ კრილობები ცალგვერდზე მოექცეს, რადგან მაშინ ვაზს ერთი მხრიდან მაინც ძირიდან თავამდე ცოცხალი-გაერთიანებული გარსი შერჩება და საზრდოს მოძრაობა აღარ გაძნელებს. ამისათვის საჭიროა ნეკი რამდენადაც შეიძლება და მოსახერხებელია ყოველწლივ ცალ მხარეზე მოუგციოთ ხოლმე ვაზს. ნექს ორივე კვირტი გარედ უნდა ქონდეს. თუ კვირტი მოითხოვს, რქას ცოტა გძლიათ გადავჭრით და მეტ კვირტებს კი შევაცლით.

გიუოს ფორმა. გამოჩენილმა მევენახემ-მედვინემ, გერმანელმა გიუომ, კახური ფორმა შესცვალა ცოტათი. საკავებელი მოხრის მაგივრად გადაზნიქა და ვაჭიმულ მავთულზე გააკრა, გორიზონტალურად. გიუოს ფორმასაც მხოლოდ ნეკი და სანაყოფე აქვს, ნეკი 2 კვირტზე და სანაყოფე 7—10 კვირტზე გასხლული. ჩვენში ეხლა ეს ფორ-



რმა ძალიან გავრცელდა, მხოლოდ სანაყოფეს 10—12 კვირტზე სხლავენ. საზოგადოდ გასხვლის დროს უნდა მხედველობაში დედა-ვაზის ღონე და მიწის სინოყივრე ვიქონიოთ, ამისდამხედვით სანაყოფე მოკლეთ ან გრძლად გადავკრათ. გიუოს ფორმა ორ მბროვანიც არის—ორი ნეკი და ორი მკლავი (სანაყოფე) აქვს. ხან კახურ ფორმასაც შეარჩენენ ხოლმე ორ საკვეთბელს და ზოგჯერ ორ ნეკსაც.

გიუოს ფორმა მართულის ფორმაა. სანაყოფე პირველ მართულზე გაიკვრება. როცა რქა გორიზონტალურად არის გაწვენილი, ყველა მის კვირტები თითქმის ერთი ღონის ყლორტებს და რქებსა ზრდიან. გაფურჩვნის დროს უნაყოფო და მეტი ყლორტი უნდა შეეცალოს. ნეკზე კი უსათუოდ ორი ღონიერი რქა უნდა გავზარდოთ.

ამ ფორმასაც ყოველწლივ ერთგვარი გასხვლა და მოვლა უნდება. ასე გასხლულ ვაზში სითბო-სინათლე და ჰაერი დაუბრკოლებლივ მუშაობს, საზრდო საკვებავი ყველა ნაწილებს ვაზისას თანაბრად ეძლევა და ამიტომ ვაზი კარგად გრძნობს თავს, ყურძენი სრულდება, მწიფდება და საუკეთესო ფერს იღებს. თუ ჩვენს ახალშენს გიუოს ფორმას მივცემთ, მესამე წელიწადს ფორმა გათავებულია. მართულები ვენახში მესამე წლის დასაწყისში უნდა გაიბას.

კაზენავას ფორმა. ნოყიერ ნიადაგში ამ ფორმას უპირატესობა უნდა მიე-

ცეს. კაზენავას ასე უნდა გამოყვანა: პირველ სამ წელიწადში ვაზზე გავზრდით ერთ ღონიერ რქას. ამ რქას სიგრძით 2—2¹/₂ არშინს სამუდამოთ გავაკრავთ პირველ მართულზე, ზევიდან ყოველ 6 ვერშოკის მანძილზე დავტოვებთ თითო კვირტს და დანარჩენ კვირტებს კი შევაცლით. ვსთქვათ მართულზე გავკრულ რქას 2¹/₂ არშინი სიგრძე აქვს და 6 კვირტი. ამ ექვსივე კვირტიდან ამოყრილ ყლორტებს ავაკრავთ მეორე და მესამე მართულებზე და მოუვლით როგორც წესია.

შემოდგომაზე და გაზაფხულზე ამ 6 რქას გაესხლავთ ოროდ კვირტზე და თითოეულ მათგანზე გავზრდით ოროდ რქას. ამგვარად შემდეგ შემოდგომაზე თვითეულ ძირ ვაზზე ექვსი წყვილი რქა გვექნება, რომლებიც ოროლი წლის რქიდან არიან ამოსულნი. თითოეული წყვილიდან ქვევითა რქას ვავსხლავთ ნეკათ და ზევითას სანაყოფეთ 6—7 კვირტზე. სანაყოფე რქებს ცოტათი დავხრით და მივამაგრებთ მართულზე. ეხლა კაზენავას ფორმა დასრულებულია და ყოველი გასხვლის შემდეგ ასეთი უნდა იყოს.

თუ ნიადაგი ვენახში ნოყიერია კაზენავას ფორმა დიდ მოსავალს იძლევა. მწირ ნიადაგში კი ეს ფორმა სრულებით არ გამოდგება. კაზენავას ფორმა ვაზსა და ვაზის შუა დაახლოებით 2¹/₂—3 არშინამდე მანძილს ითხოვს.

ს. ხუნდაძე

თხილის მოყვანა საინგილოში

თუ კახეთი საუკეთესო ღვინის ქვეყანაა, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საინგილო კიდევ თხილის ქვეყანაა. არა მგონია, არამც თუ საქართველოს

სხვა კუთხეებში, არამედ მთელს რუსეთშიაც ისეთი ადგილი მოიძებნებოდეს სადაც ამდენი აუარებელი და უხვი მოსავალი მოდიოდეს თხილისა, როგორც სა-

ინგილოში. თხილი მთავარს დარგს მეურნეობისას შეადგენს საინგილოში. მოგზაურობთ საინგილოში, ჰხედავთ აუარებელს, თვალუწვდენელს ქალებსა და ბაღებს სოფლად თუ მინდვრად თხილის ბუჩქებით სავსეს და გიკვირთ, გოცებთ ასეთი სიმრავლე თხილისა, რომლის მზგავსსაც სხვაგან ვერსად ვერა ნახავთ. თხილი წლითი წლობით ისე მატულობს და ისე ვრცელდება მთელს საინგილოში, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ერთი მესამედი მაინც მთელის საინგილოს ტერრიტორიისა თხილს ეჭირება. თხილი სდევნის სხვა დარგს მეურნეობისას საინგილოში და განსაკუთრებით მევენახობას. საინგილოში მევენახობა არაფერი ხელსაყრელია და ზოგჯერ კიდევაც საზარლოა, რადგან ღვინო მეტად მდარე მოდის და ახლო ბაზარიც არსად მოედებნება. ამიტომ რაც დრო გადის ვენახები იჩებება თანდათან და მათ ადგილს თხილი იჭერს. მიზეზი თხილის გამრავლებისა ის არის, რომ თხილი მეტად შემოსავლიანი ხეხილია, რასაც ვერც ერთი დარგი მეურნეობისა ვერ შეედრება. უპირველეს ყოვლისა თხილი არაფერს მოვლასა და ხარჯს არა საჭიროებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვალვიან ზაფხულში ერთხელ ან ორჯელ მორწყვას და როცა შემოვა კიდეც დაბერტყას და გარჩევას, რაიც სრულიად უმნიშვნელო ხარჯსა თხოულობს. გარდა ამისა თხილმა მოუსავლობა არ იცის. რაც გინდა სუსხიანი გაზაფხული იყვეს და ყველაფერი ხეხილი გაფუჭდეს, თხილს ვერაფერს ზარალს ვერ მოუტანს. ამას დაუმატეთ მშვენიერი ფასები თხილისა, რომელიც ხშირად ოთხ მანეთამდე აღის

ფუთზე და თვალწინ წარმოგიდგებათ, თუ რათ აძლევს ინგილო უპირატესობას თხილსა და რად გაუხდია მეურნეობის მთავარ დარგად.

საინგილო სამშობლოა თხილისა. უძველეს დროიდანვე საინგილოში ბევრი ყოფილა მინდვრათ თუ ტყეში გარეული თხილი. ინგილოს ეს თხილი ბალ-ვენახებში გადმოურგავს, მოუშინაურებია, გაუბატივებია, დროზე მოურწყავს და ყოველ მხრივ ხელი შეუწყვია მის გაუმჯობესობისათვის. კარგს მოვლას ტყის უბრალო, სქელნაქუქა, მოგრძო და უგემური თხილი მშვენიერ კულტურულ ნაყოფად გადაუქცევია, რაც დღეს დიდს შემოსავალს აძლევს საინგილოს.

თხილი ორგვარი მოდის საინგილოში, ერთი არის **ჯალლა** თხილი, რომლის მოყვანასაც მისდევენ უმთავრესად და მეორე **ბერძნული**, რომელსაც მცირე მოსავალი აქვს და უფრო სახლში სახმარია. **ჯალლა** თხილი მრგვალია, თხელ ნაქუქიანია, ადვილად გასატეხი, გული სრული აქვს და მეტად ნოყიერია და ტკბილი. გარდა ამისა მშვენიერი მოსავალი იცის. ამ ჯიშის თხილი ორ გვარია, ერთს ადრეულებს ეძახიან, მეორეს **ფაისირს**. პირველი მკათათვეში შემოდის, მეორე მარია-მოხისთვის უკანასკნელ რიცხვებში.

ბერძნული თხილი მსხვილია, ხშირად კაკლის ოდენა, მაგრამ გული პატარა აქვს და ნახევარზე მეტი ადგილი ნაქუქის შიგნით ცარიელია და არც იმდენად გემრიელია, როგორც **ჯალლა** თხილი.

თხილის მოვლა-მოყვანა შემდეგ ნაირად სწარმოებს საინგილოში. ერთს დესეტინაზე თავისუფლად თავსდება

200—400 ძირი თხილის ბუჩქი. საკირო კია კაცმა არ იხარბოს. რამდენადაც თხილის ბუჩქები შორი-შორს არიან, იმდენად თხილი უფრო მეტს იხზავს და ამას გარდა თხილებ შუა ადგილებში შეიძლება **მოცხარი** და **კუნკრუხელა** დაირგას. საინგილოში საუბედუროდ მეტად ახლო რგავენ თხილებს, ასე რომ ერთ დესეტინაზე თითქმის 400 ბუჩქზე მეტს ათავსებენ, რასაც არა სასურველი შედეგი მოსდევს. თხილის დასარგველად დანიშნული ადგილები შემოდგომამხედვე უნდა დაიხნას და გაკეთდეს ორმოები, ისე რომ ორმოსა და ორმოს შუა სამი საყენი მაინც უნდა იყვეს. სასურველია ამასთანავე რომ თხილის ორმოები ჭანდრაკის რიგზე კეთდებოდეს, რადგან ამრიგად უფრო მეტი ორმოებიც მოთავსდება მამულში და თვით თხილებისთვისაც უფრო კარგი იქნება და მეტს მოსაგავლსაც მისცემს. ორმოები ზამთრის განმავლობაში ასე დარჩებიან. გაზაფხულზე კი ჩარგავენ თხილის ნერგებს. საინგილოში ამისთვის ძველი თხილის ბუჩქებსა ხმარობენ. ერთ ძველს რომელიმე ბუჩქს ამოსთხრიან ფესვიანად, ტოტებს ძირამდის სულ ჩაკეფავენ, შემდეგ დაანაწილებენ თითო ძირკვს 25—40 ნაწილად და ყოველ ორმოში თითოს ჩარგავენ და მიწას მიაყრიან. შეიძლება ძირკვების მაგიერ დასარგველად ერთი წლის გადაწინული ყლორტებიც იხმაროს, მაგრამ საინგილოში რაღაც მიზეზისა გამო თხილის **გადაწიდვანა** და ამგვარად თხილის გამრავლება არ არის შემოდებული. ორმოებში ჩარგული თხილის ბუჩქი იმავე წელიწადს, თუ კაცმა კარგად მოუარა, ესე იგი მოაწყობ თვის დროზე, ირგვლივ შემოუთოხნა და

ბალახეულობა მოაცალა, არშინახე-ვარი და ზოგჯერ მეტიც იზრდება იმავე წელიწადს. უნდა შევნიშნათ, რომ თხილის ბაღში არას გზით საქონელი არ შეიშვება. თუ საქონელი შევიდა, ნორჩი ყლორტები წააკნითა და წაახდინა, საქმე წასულია. თხილის გაზრდა დიდის ხნობით გადაიდება. საშინლად მოქმედობს თხილის ნორჩს ყლორტებზე სეტყვაც. ნორჩი ყლორტები იყეფება, შემდეგ კოჟოჟდება და დიდი ხანი უნდა, რომ თხილი გამოზრუნდეს. ასე სათუთად მოვლა სჭირდება ვიდრე გაიზდება თხილი, შემდეგ კი ვერც არაფერს სეტყვა დააკლებს და ვერც საქონელი ავნებს რასმეს. მეორე წელიწადს უნდა ყოველ ბუჩქს შემოგბაროს, შემოეთოხნოს და შიგ საქონლის პატვი ან სხვა რამ სასუქი ჩაეყაროს, რომ თხილი უფრო ჩქარა და სწრაფად გაიზარდოს. ამგვარად მოვლილი თხილი მესამე წელიწადს უკვე კარგს მოსაგავლს მოიტანს და შემდეგ სრულად იმოსავლიანებს.

თხილი საინგილოში მკათათვე-მარია-მობისთვეში შემოდის. ამ დროსთვის თხილი საკმარისად მოიწვევა და რომ შეარჩიოთ ტოტები, თავისუფლად სწყდება ყუნწებში და სცივია. ეს გარემოება ნიშანია თხილის შემოსვლისა და ამ დროდან თხილს მუდმივი ყურისგდება და პატრონობა უნდა. თხილი ერთბაშად არ იწვევა და არ შემოდის, არამედ თანდათან. ამიტომ თხილს ერთი ან ორი დღის შემდეგ დარჩევა უნდა. საინგილოში ძირს ჩამოცვივულს თხილს აგროვებენ ერთად **აყარში ანუ ერდოზე**. მაგრამ თხილი ჯერ კიდევ მზად არ არის ბაზარში გასა-

ტანად. საჭიროა ჩენჩოების გაცლა, ამისათვის გამხმარ თხილს სველი წვე-
პლებით ჰჰენტავენ და ამ გვარად აც-
ლიან ჩენჩოს, ან არა და დაჰყრიან
კალოზე, გააფიცებენ და კვერს მო-
ტარებენ ზედ, ვიდრე ჩენჩო არ გას-
ცვივა. შემდეგ გაანიავენ და ამრი-
გად გასუფთავებული თხილი უკვე მზად
არის გასასყიდად.

ყოველი თხილის ბუჩქი იძლევა 30
გირვანქილამ ფუთ ნახევრამდე თხილს.
ფუთი თხილი საინგილოში ადგილობ-
რივ ისე არ დავარდება მისი ფასი, რომ
საშუალოდ 2 მან. 50 კაპეიკად არა
ღირდეს, თორემ ზოგჯერ ხომ სამ-ოთხს
მანეთამდისაც ადის. ამრიგად, ვსთქვათ
ერთს დესეტინაზედ 200 ბუჩქი გაქვთ
(ამაზე ნაკლებს არას დროს არა რგავენ);
თითო ბუჩქის მოსავალი საშუალოდ
ერთი ფუთი ვიანგარიშით, ფუთი თხი-
ლი კიდევ ყოველ ხარჯს გარდა ორი
მანეთი ვიანგარიშით. გამოვა, რომ
დესეტინა სრულს 400 მანეთს მოგვ-
ცემს, რაც მეტის მეტად კარგს შემო-
სავალად უნდა ჩაითვალოს.

საცა ერთხელ დაირგა თხილი იქ აღარ
გაქრება და სხვა ახალის დარგვაც აღარ
მოგინდებათ. რამდენიც პირველად ამ-
ოსული თხილი ბერდება და ხმება,
იმავე დროს ძირიდან ახალ-ახალი ყლო-
რტები ამოდის და ამრიგად თავისთა-
ვად ახლდება ბუჩქი. გამხმარი და და-

ბერებული ხეები კი საჭიროა მოიქ-
რას, რომ ახალგაზდებს ადგილი ჰქონ-
დეთ თავისუფლად გაზრდისათვის. მოქ-
რილი თხილის გამხმარი ტოტები მშვე-
ნიერს შეშას წარმოადგენენ, რადგან
მშვენიერი ცეცხლი და ნაკვერჩხალი
იცის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ
თხილმა არაფერი ავადმყოფობა არ იცის,
არც თვით ბუჩქს უჩნდება რამე და
არც ნაყოფს და არც რამე წამლობას
საჭიროებს. ის ათასგვარი ავადმო-
ფობანი, რომელნიც ვაშლს, მსხალს
და სხვა ხეხილს უჩნდება თხილს ვე-
რაფერს აკლებენ. გარდა ამისა თხილს
ის ღირსებაცა აქვს, რომ ღიდხანს შე-
გიძლიანთ შეინახოთ. იმ დროს, როცა
ვაშლი, მსხალი და სხვა ხეხილი, თუ
დროზე არ გაასალა კაცმა, ღებება, ფუ-
ქდება და პატრონს ზარალის მეტს არა-
ფერს აძლევს, თხილი თუ კარგად გა-
მოშრა მზეზე, შეგიძლიანთ მთელის
წლობით შეინახოთ.

მივაქცევთ რა განსაკუთრებით ქართ-
ველ გლეხკაცობის ყურადღებას თხილის
მოყვანას, ვურჩევთ რომ ვაშლისა და
მსხლის გაშენებასთან ერთად, რომელ-
საც მან ამ ბოლო დროს მიჰყო ხელი,
თხილის მოყვანასაც შეუდგეს როგორც
უფრო ხელმოსაცემ დარჯს მეურნეო-
ბისას.

ზ. ედილაშვილი

დასარჩევნოდ გამოგზავნილი თესლი

სხვადასხვა ნესვის თესლია ერთმანეთ-
ში არეული, სულ საუკეთესო ჯიშებისაა.

1. მუხა ნესვები რამდენიმე ნაირი
2. თურაჯები რამდენიმე ნაირი

3. სხვადასხვა კანტალუპები
4. ჩარდუის ნესვი და სხვანი.

ყველა ეს ჯიშები მკათათვის ნახევ-
რიდან იწყებენ დამწიფებას.



ჩვენში ვთესავთ არა უადრეს 10 აპრილისა, კარგა დამუშავებულ მიწაში. მორწყვა უნდა ყვავილობის დროს ერთხელ. თუ გვალვა არის და ფოთოლი უჭკნებოდეს, შემდეგაც. თუ დაატყობთ რომ თავის ბუდეში მოსცდება, უნდა ბელტიანათ გადარგათ ახალ ადგილზე. ბუდეები ოროდ არშინზე უნდა, თითო ბუდეში 4-5 მარცვალი უნდა ჩაადგოთ და თხლად მიწა წაყაროთ. როცა ამოვა თითო ბუდეში ორის მეტი არ უნდა გაუშვათ, სხვა თავისუფალ ადგილზე გადარგეთ. ბარის პირით ამოიღებთ ნესვის ნერგს მიწიანათ და ბარის პირითვე მოთხრილს ორმოში ფთხილად ჩასდებთ რომ გარშემო ფესვებს მიწა არ შემოეცალოს. გათოხნა და მიწის გაფხვიერება სამჯერ უნდება. სიმწიფე ხალების დამჩნევაზე ეტყობა, ცოტა ყვითელი ხალი შეუვა

აქა იქა, ან ყუნწი შემოერღვევა, ან არა და ბოლო ცოტათი დაურბილდება. ზედ არ უნდა გააყვითლოთ სიმწიფით. ძლიერ დამწიფებამდე მოწყვეტილი ნესვი ძალიან გემრიელია. მოწყვეტილი მუხა ნესვი და თურაჯები ერთ თვემდინ ინახება. ცოტა მკვახე უნდა მოიგლიჯოს ყუნწიანათ და ისე გრილ ადგილს შეინახოთ. როცა ყუნწი, ცოტათი მოერღვევა მაშინ მიირთვით.

ნესვი ძალიან კარგი შემოსავლის წყაროა პატარა მეურნეობაში, მეტადრე თუ ბაზარი ახლო არის. გარდა ამისა ღარიბ მშრომელ ხალხისთვის კი პურის შესატანებელია, თესლი ფრინველისთვის კარგი საკვებია. საქონელიც და ღორიც ძლიერ სჭამს და სუქდება.

ალექსანდრე მაჩაბელი

საქურადლებო ცნობები

ვაზის შესაყელი რაფი და იმისი გამძლეობა. რომ რაფიმ მეტ ხანს გასძლოს და მალე არ დაღუპეს შაბიანის ხსნილში უნდა დააღობოთ, ან გოგირდით დაუბოლოთ. ამბობენ გოგირდ დაბოლებული რაფი შვიდჯერ მეტხანს სძლებს, ვიდრე დაუბოლებელია, მხოლოდ გოგირდიან რაფის ხმარებას ნამყენი ვაზის ნამყნობ ადგილის გადასახვევად არ ურჩევენ.

სადოლე ღორის არჩევა.—ვისაც ბევრი ღორი ჰყავს და სადოლეთ ღორი არჩევით შეუძლიან შეინახოს, მან უნდა იცოდეს რომ მოსაშენებლად ის ღორია კარგი, რომელიც პირველადვე 10-12 გოჭს დაჰყრის. ხოლო თუ ამდენი გოჭი არ ეყოლა ეს ჯერ კიდევ იმისი ნიშანი არ არის, რომ ღორი ცუდი მომშენებელი დადგება. ავკარგიანობა ღორს ამ მხრივ მეორე ან მესამე დოლობაზე შეეტყობა. შეიძლება პირველად ცოტა გოჭი ეყოლოს, მაგრამ მერე სხვა დედებს გადაჰყარბოს.

როგორ უნდა მიეცეს ბებერ ცხენს ქერი ან შვრია.—ზოგად ბებერი ცხენი სიბერისაგან ძლიერ ღეჭავს შვრიას ან ქერს, ხოლო ზოგჯერ სულაც ვერა ღეჭავს და მთელ-მთელ მარცვლებსა ყლავავს. ამგვარ შემთხვევაში არც ქერი და არც შვრია არ იხარშება კუჭში და ცხენი მთელ-მთელსავე მარცვლებს გააყოლებს ხოლმე, ისე რომ ხორბალი ცხენს რგების მაგივრად ტყუილად ამძიმებს; ამისათვის რომ ქერმა და შვრიამ საჭმელობა გაუწიოს ცხენს, ხორბალი უნდა დაიცეხოს და ისე მიეცეს.

ხეხილების შესხუტება კირის რძით. 2-3 საათის წინ ხმარებამდე წყალდაუსხმელთ თეთრი კირი უნდა გაანელოთ და ათქვიფოთ წყალში ისე რომ გარძეგდეს. მერე ხსნილი გადაწურეთ და ხეხილის ყველა ტოტებს კარგად შეასხურეთ შემოდგომაზე და გაზაფხულზედაც. ფიჭვი ნუ გაქვთ წვიმისა. მეორე-მესამე დღეს მოსული წვიმა კირს ვერ ჩამორეცხავს.

კირი ყოველგვარ ჭია-ლუას, ხავსს, აბლა-
ბუდას გადააშორებს; აცდენს ხეხილს აგრედვე
სხვა ათასნაირ ავადმყოფობას, რადგან კირი
უხილავ სოკოებს და ჭია-მატლს ხოცავს და
აყრვეინებს. ვნებით კი კირი ხეხილებს არა-
ფერ ვნებას არ მისცემს.

როგორ უნდა გააწმინდოს დაქანგებუ-
ლი გუთნის ბარ-საკვეთი. — გუთნის ბარ-
საკვეთი და სხვა ნაწილები, თუ გუთანი რკინი-
საა, როცა ძალიანაა დაქანგებული, საქონელს
გუთანი ძლიერ მიძიმეთ მისდევს, რადგან მიწას
ძაან იკრავს და მიძიმდება. გარდა ამისა დაქან-
გებულმა გუთანმა მალიმალ იცის კვლიდან
ამოხტომა და საზოგადოდ ცუდათა ხნავს. ამ
დაბრკოლებების ასაცილებლად გუთანი უნდა
ქანგისაგან გაიწმინდოს. გაწმენდა გუთნისა
ასე შეიძლება: გაიტანთ თუ არა გუთანს სახ-
ნავად ჯერ დაქანგებულ ნაწილებს **კარბოლი-**
ნეუმი წაუსვით და მერე ხვნა ისე დაიწყეთ. კარ-
ბოლინეუმი საჩქაროდ შესჭამს ქანგს და მი-
წაში რომ ჩაეარდება გუთანი და გაიხეხება
იმწამსვე სარეისავით აპყვრილდება.

როგორ უნდა დავამზადოთ კედელზე
წასასმელი გასათეთრებლად კირი რომ
მაღე არ ჩამოიხრეცხოს. გაანელეთ ხის კას-
რში ან ხონში ვედრონახევარი წყალდაუსხ-
მელი კირი ოთხი ვედრა ცხელა წყლით, გა-
დაბურეთ რამე მაშინვე ზემოდან, რომ არ გა-
ცივდეს, გადაწურეთ მარდათ და გადურით
შიგ 1/4 ვედრა საქმელი მარილი გახსნილი
ცხელ წყალში (წყალს გასახსნელად იმდენს
აიღებენ, რამდენიც საჭიროა რომ მარილი
მთლად დადნეს). შემდეგ აიღეთ ბრინჯის სა-
ხამებელი ან ფქვილი გახსენით ჯერ ცივ წყა-
ლში და მერე აადუღეთ. ამავ დროს 1 1/4 გირ.
კარგი ფრანგული წებო უნდა დაალობთ წყა-
ლში და დაიჭიროთ ადუღებული წყლის ორთ-
ქლზე სანამ დადნება. შემდეგ ბრინჯის სახამე-
ბლის ხსნილიც და ეს დამდნარი წებოც ჩაუშვით
დამარილებულ კირის წყალში, მიუმატეთ ამ სა-
ერთო ნარევეს 3/4 გირ. ათქვეფილი ცარცი და
კარგა დაურიეთ მთელ ნარევეს. დაცალეთ რა-
მდენიმე დღე ნარევი დაწმენს-დამშვიდდეს და
სახმარებლად მზად იქნება. ხმარების დროს ეს
სათეთრებელი ქვაბით უდგათ ხოლმე ნელ
ცეცხლზე და ისე ხმარობენ ცხელცხელს.

ხეზე სახმარი ფისი. ხშირად ხის კოჭი ან
ფიცარი გათლილი ან გახერხილი, რომლიდ-
განაც ვაკეთებულია რამე ავეჯი, ვასკდება ხო-
ლმე და ავეჯი უშნოვდება, ფასი ეკარგება. ნა-
ხეთქის ამოსავსებად ამ გვარ შემთხვევაში
ფისსა ხმარობენ, მხოლოდ ხე უნდა სრულე-
ბით გამხმარი იყოს, თორემ თუ ჯერ ისევ
ხმობაშია ნახეთქი კიდევ გაიწვეს-გამოიწვეს
და ფისი გამოვარდება.

ხეზედ სახმარებელ ფისს რამდენიმე ნაირად
ამზადებენ:

1. კირის ფისი: აიღეთ 1 ნაწ. ახლად გახ-
სნილი კირი, 2 ნაწ. პურის ფქვი-
ლი, 1 ნაწ. სელის ზეთი და უშბო-
რა რამდენიც დასჭირდება.

ეს ფისი გვიან მაგრდება, მაგრამ რაკი ერ-
თი გამაგრდება, მერე დიდხანს სძლებს.

2. ფრანგული ფისი: 1 ნაწ. ეგრედწოდე-
ბული არაბული კამედი (араби-
кой камеди), 2 ნაწილი წყალი
და 3 ან 5 ნაწ. კართოფლის სა-
ხამებელი.

3. ნახერხის ფისი: ძრიელ წმინდათ გატრი-
ლი ხის ნახერხი გადურიეთ სე-
ლის ზეთში და ზილეთ სანამ ცო-
მივით გახდება.

4. წებოს ფისი: 1 ნაწ. წებოზე, რომელსაც
დურგლები ხმარობენ, 20 ნაწ.
წყალი და რამდენიც დასჭირდება
მსხვილი ნახერხი ხისა.

5. გიბსის ფისი: წყალში გახსნილი წებო,
რომელსაც დურგლები ხმარობენ,
და გიბსი აურიეთ ერთმანეთში.

ესეთი ფისი ძალიან ჩქარა მაგრდება. ამ ფისს
დურგლები ხმარობენ. უფრო სუფთა საქმეში
არ იხმარება.

6. დღის ფისი: 5 ნაწ. ოდნე გაწურული დო
და 1 ნ. წყალდაუსხმელი კირი
გადაურიეთ ერთმანეთში კარგად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფისებში ეს უკა-
ნასკნელი უფრო მეტად არის საყურადღებო,
რადგან რაკი ერთი გამაგრდება წყლით, მერე
არცროგორ აღარ იცვლება. თუ ამ ფისის შე-
ხმარების შემდეგ ხე უნდა შეიღებოს, სჯობია
ფისს მომზადებაშივე უყოთ ეს საღებავი, რომ
მაშინვე მიიღოს სასურველი ფერი.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ რომ ფისი რო-
გორიც გინდა იყო, სჯობს მომზადებაშივე შე-
იღებოს იმ ფრად, როგორსაც საქმე მოითხოვს.



შაბიამანი ნესტისაგან დაობებულ კედლების გასაწმენდად.—შაბიამანი უებარი წამალია თურმე არა მარტო იმ ობის წინააღმდეგ, რომელიც ვაზს უჩნდება და სახელად მილდიუ ჰქვინან, არამედ იმ ობისაც, რომელიც ნესტიან კედლებზე ჩნდება სარდაფებში.

ესეთ კედლებს ჯერ უნდა კირის რქე მოაწკაპ-წკაპოთ და მერე შაბიამანი (6 გირ. შაბიამანი 10 ვედრა. წყალზე) დაასხათ.

უფრო კარგა იმოქმედებს ეს შაბიამანი თუ ცოტა მარგიმუშს (1 ნაწ. მარგიმ. 100 ნაწ. წყალზე) გადურევთ.

განცხადებანი

სამეურნეო უზრნალი

მოსავალი

ერთ წიგნად **ხდა-ქაჯაშული** ჟურნალის ყველა 15 ნომერი აქამდე გამო-სული მსურველთ დაეთმობათ იმავე **2 მანეთში**, რამდენიც წლის დამლევამდე ღირდა ჟურნალი.

მოსავლის რედაქციისა იყიდება შემდეგი მართული წიგნები:

- ვ. ი. რცხილაძე** კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (შეორე ნაწილი) 50 კ.
- იმისივე** (თარგმანი) ქიმია პრ. როსკო-სი (შეორე გამოცემა) 30 კ.
- იმისივე** საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან 6 შვეიცარიის ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი ტფილისის სსსახსო უნივერსიტეტის სსსარ-გებლად არის დანიშნული).

აგერიკული ვაზის სანარბე კლტ-ეგ ურული ქ. ქუთაისში

სანერგე მდიდარია უოკელნაირი ჯიძის ვაზებით და ამ მხრივ ჰირველი ადგილი უჭირავს მთელს რუსეთში.

მსურველთ გაეგსავნებათ პრე-ისკურანტი და განმარტებანი უფა-სოთ.

ყოველდღიური საბოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი **ფრთხვა** წელიწადი მესამე მესამე

1910 წ. გაზეთი გამოვა იმავე პრეგრამით როგორც წინა წლებში გამოდიოდა. ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირაობით

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანთ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მ. 80 კ., ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) შეიდი კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ. 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **კედლის კალენდარი 1910 წლისა.**

სამეურნეო უზრნალი

მოსავალი

წელიწადი შეორე

მიიღება ხელისმოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პრეგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის-მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გა-უგზავნის აგრედვე **უფასოდ** თითო **წიგნს**—**ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. Редакция «МОСАВАЛИ».

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**